XI-XII კლასი

სავარჯიშო 1. მორფოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

1. რამდენი ფორმაცვალებადი სიტყვაა წინადადებაში: „არ ვიცოდი, თურმე, ყველაფერი ტყუილი ყოფილა.“?
   ა) ერთი; ბ) ოთხი; გ) სამი.
2. რომელია სწორი ფორმა?
   ა) ბედისთვის; ბ) ბედისათვის; გ) ორივე.
3. რამდენი დამხმარე სიტყვაა წინადადებაში: „შალვამ მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, მაგრამ მუშაობა არც ოჯახმა დაუფასა და არც - უფროსობამ.“
   ა) ორი; ბ) სამი; გ) ოთხი.
4. რომელია ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი?
   ა) მელიტონი; ბ) ისიდორე; გ) იასონი.
5. რომელ წინადადებაშია გამოყენებული უკვეცელი სახელი?
   ა) „ზღვამ გამომრიყა ქვიშაზე.“ ბ) „მზეს გაუთბია არემარე.“ გ) ქაიხოსრო მშრომელი კაცი იყო.
6. რომელია სწორი ფორმა?
   ა) ყველაზე უკეთილშობილესი; ბ) ოდნავ მოტკბო; გ) ყველაზე დიდი.
7. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია სწორად დაწერილი?
   ა) ფაქტობრივად; ბ) ფაქტიურად; გ) ფაქტობრივათ.
8. რომელი ზმნაა სწორად დაწერილი ?
   ა) წავსულვარ; ბ) დაუღრინავს; გ) მინახიხარ.
9. რომელია სრული ასპექტის ფორმა?
   ა) წუხს; ბ) ამღერდება; გ) ბედნიერია.
10. რომელია გარდამავალი ზმნა?
    ა) გააცნობიერა; ბ) ემშვიდობება; გ) დგას.

სავარჯიშო 2. სინტაქსი - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

11. რომელ წინადადებაში ეწყობა სწორად ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში?
    ა) თოლიები და წეროები მიფრინავდნენ მაღლა და მაღლა.
    ბ) დედ-მამა და ბიძა-ბიცოლა თეატრში წავიდა მოსაწვევებით.
    გ) ქალიც და კაციც - ყველა გრძნობდნენ უდიდეს პასუხისმგებლობას.
12. რომელია მარტივი წინადადება?
    ა) „მე აღარ დაველოდე დედას.“ ბ) „გაზაფხულია, მაგრამ ჯერ ისევ ცივა.“
    გ) „იყო ერთი სტვენა, გალობა, გადაფრენ-გადმოფრენა.“
13. რომელია რთული ქვეწყობილი წინადადება?
    ა) „ულამაზესი ნაქარგები გამოფინეს დარბაზში.“ ბ) „მეფე ადგა და ვეზირს დავალება მისცა.“
    გ) „ვისაც მოხუცი ეცოდება, ის განსაკუთრებით დასაფასებელია.“
14. რომელია სწორად დაწერილი მსაზღვრელ-საზღვრული?
    ა) ბატონ გივის; ბ) პოეტ აბაშიძეს; გ) გენერალი იაშვილის;
15. რომელ წინადადებაშია გამოყენებული შედგენილი შემასმენელი?
    ა) დამწუხრებული შვილის დანახვაზე დედას გული შეეკუმშა. ბ) ცივმა ზამთარმა ფარას ვერაფერი დააკლო.
    გ) დიდი ილიას ღვაწლი ერის წინაშე ფასდაუდებელია.
16. რომელ სინტაქსურ წყვილს შორისაა შეთანხმება?
    ა) ბედნიერი ერი; ბ) აქ დავიბადე; გ) მთვარის შუქი.
17. რომელ სინტაქსურ წყვილს შორისაა მირთვა?
    ა) წყლის ჭავლი; ბ) ბედნიერმა ქალმა; გ) დინჯად საუბრობდა.
18. რომელ წინადადებაში არაა დაშვებული პუნქტუაციური შეცდომა?
    ა) მაგრამ, გოგო რის გოგოა თუ სულმა არ წასძლია?!
    ბ) რა ბევრი ფიქრი უნდა რომ მუზათა საცხოვრებელ ადგილს, დღეს მუზეუმი ჰქვია.
    გ) აპოლონი, როგორც იქნა, მდინარის პირას წამოეწია მშვენიერ ასულს.
19. ჩამოთვლილთაგან რომლებია მაცალკევებელი კავშირები?
    ა) რომ, როცა; ბ) და, თუმცა; გ) ან ....ან, ხან .....ხან.
20. რომელ წინადადებაშია სტილისტური ხარვეზი?
    ა) ციხიდან გათავისუფლებული ძია გიორგი საზღვარგარეთ წავიდა.
    ბ) ამ დროის მანძილზე ბევრი ღირსეული ადამიანი გავიცანი;
    გ) ჩვენი დედაქალაქი მეტად დამშვენდა.

სავარჯიშო 3. ლექსიკა, ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (30 ქულა)

21. რას ნიშნავს სიტყვა „მეოხი“?
    ა)მეომარს; ბ) მფარველს, შემწეს ; გ) შემლოცველს.
22. რას ნიშნავს სიტყვა „სამსალა“?
    ა) საწებელს; ბ) საწამლავს; გ) საჩეჩელს.
23. რას ნიშნავს სიტყვა „თმაგარდატევებული“?
    ა) თმაგაშლილს; ბ) თავდაუბურავს; გ) თმაშეხვეულს.
24. რა არის „ზათქი“?
    ა) გრგვინვა, გრიგალი; ბ) ზაქი; გ) თქორი.
25. რას ნიშნავს სიტყვა „თრთვილი“?
    ა) თეთრ წვერს; ბ) ყვავილს; გ) შეყინულ ღამის ნამს.
26. რა არის „იამბიკო“?
    ა) მთის ყვავილი ბ) მთის მდინარე გ) სალექსო ფორმა.
27. რას ნიშნავს გამოთქმა: „კილოკავად ნათქვამი“?
    ა) გაუცნობიერებლად ნათქვამს ბ) იგავით, გადაკვრით ნათქვამს; გ) ხუმრობით ნათქვამს.
28. რას ნიშნავს გამოთქმა: „თავს მოიზღუდავს“?
    ა) თავს შეიკავებს, მტკიცედ დადგება; ბ) თავს შეუშვერს; გ) თავს დაიღუპავს.
29. რას ნიშნავს გამოთქმა: „მრუმედ მხედველობა“?
    ა) თვალის ახელას ბ) მხედველობის დაქვეითებას; გ) დაბრმავებას
30. „სასოებას წარიწირავს“ ანუ:
    ა) იმედს გაიჩენს; ბ) ყველას იმედი გახდება; გ) იმედს დაკარგავს.

სავარჯიშო 4. ლიტთეორია, მხატვრული ხერხები - შემოხაზეთ სწორი პასუხი (ა, ბ ან გ): (10 ქულა)

31. რა არის დრამა ?
    ა) ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია დიალოგებად და განკუთვნილია სცენაზე წარსადგენად;
    ბ) იუმორისტული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია დიალოგების სახით;
    გ) პოეტური ნაწარმოები, რომელსაც სცენაზე დგამენ.
32. რა არის ლირიკა?
ა) ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი პერსონაჟის მძიმე სულიერ განცდებს გადმოსცემს.
ბ) პოეზიის გვარი, რომელშიც უშუალოდ არის გადმოცემული ავტორის პირადი მისწრაფება, განცდა, შთაბეჭდილება.
გ) ნაწარმოები, რომელშიც ავტორი პერსონაჟის შეხედულებებს აშარჟებს.
33. რა მხატვრული ხერხია ხაზგასმული შემდეგ სტროფში:

„მთაო ცხოველო, ხან <u>მცინარო</u>, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება...“

    ა) ეპითეტი; ბ) შედარება; გ) ჰიპერბოლა.
34. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში: „ ვაიმე, ჩემო სამშობლოვ!“
    ა) მეტაფორა; ბ) რიტორიკული შეკითხვა; გ) რიტორიკული შეძახილი.
35. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში: „ფოთლების ჩურჩულმა ყოჩივარდაც კი გააღვიძა და ლურჯთვალა იას დაუწყო ძებნა.“
    ა) ეპითეტი; ბ) გაპიროვნება; გ) შედარება.

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. **“ლიბერთის” კითხვა:** „პედაგოგები კმაყოფილი ვართ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით, რადგან ჩვენი ყველა მოთხოვნა დროულად სრულდება.“ როგორია მოცემული დამოკიდებული წინადადება?
   ა) განსაზღვრებით დამოკიდებული; ბ) დროის გარემოებით დამოკიდებული;
   გ) მიზეზის გარემოებით დამოკიდებული;

2. **“ბიუ-ბიუს” კითხვა:** „ბიუ-ბიუ“-ს ქათმის ხორცის მაღაზია მყიდველს <u>მეტად</u> იზიდავს ნედლი და ჯანსაღი პროდუქტის გამო.“ წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა?
   ა) ქვემდებარე; ბ) განსაზღვრება; გ) გარემოება;

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}